GOVERNMENT POLICY AND ECONOMIC GROWTH

სამთავრობო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა

Merab Julakidze
Doctor of Economics,
Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Ilia Chavchavadze Ave., #1, 0179, Georgia,
+995 595506324, merab.julakidze@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-5711-5077

Abstract. Economic growth rate determines the degree of development of developing countries over the long run. Market mechanism on the basis of supply-demand ensures optimal use of production capacities which is the foundation of economic growth. However, in certain cases market fails – market mechanism is unable to ensure optimal use of production capacity. Market failure makes government intervention in economy necessary and the degree of this intervention depends on ample factors: state of the market economy, as well as the national strategy of economic development. Government's role in the economy – this is the most debatable and delicate problem in the science of economics. The article discusses some of the instruments used by the governments to intervene in the economy. These instruments include ensuring law supremacy, regulating, planning firm behavior, trade policy, direct ownership of means of production and etc. The author discusses the impact of these instruments and comes up with some recommendations.

Key words: market failure, public good, externalities, monopoly, asymmetric information, Wagner's law, kleptocracy.

მერაბ ჯულაყიძე
ეკონომიკის დოქტორი
ივანე ჯავხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამ.,#1, 0179, საქართველო
+995 595506324, merab.julakidze@tsu.ge
https://orcid.org/0000-0001-5711-5077

აბსტრაქტი: განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპი განსაზღვრავს მისი განვითარების დონეს. საბაზრო მექანიზმი მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე უზრუნველყოფს საწარმოო შესაძლებლობების ოპტიმალურ გამოყენებას, რომელიც ეკონომიკური ზრდის საფუძველია. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ბაზრის ჩავარდნას - საბაზრო მექანიზმის უუნარობას უზრუნველყოს საწარმოო შესაძლებლობების ოპტიმალური გამოყენება. ბაზრის ჩავარდნა იწვევს ეკონომიკის სფეროზე სახელმწიფოს ზემოქმედების აუცილებლობას და ამ ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: როგორც საბაზრო ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, ასევე ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაზე. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში - ეს ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე სადაო და დელიკატური პრობლემაა. განვიხილავთ ზოგიერთი ინსტრუმენტს, რომლითაც მთავრობა სარგებლობს ეკონომიკაზე ზემოქმედების

თვალსაზრისით. ეს ინსტრუმენტები მოიცავს კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას, ფირმების ქცევის რეგულირებას, დაგეგმვას, სავაჭრო პოლიტიკას, წარმოების საშუალებების უშუალო ფლობას და სხვა. გაანალიზებულია ეკონომიკურ ზრდაზე მათი გავლენის ხარისხი და წარმოდგენილია რეკომენდაციები.

საძიებო სიტყვები: ბაზრის ჩავარდნა; საზოგადოებრივი საქონელი; ექსტერნალიები; მონოპოლია; ასიმეტრიული ინფორმაცია; ვაგნერის კანონი; კლეპტოკრატია.

შესავალი. მთავრობის როლი ეკონომიკის ზრდის წახალისებაში ადამ სმიტიდან მოყოლებული ერთ-ერთი უძველესი საკითხია და იგი მერყეობს მინიმალური სამთავრობო ჩარევიდან წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებით დამთავრებული. ეკონომიკაში სახელმწიფოს მეტი დოზით ჩარევას ბაზრის არაქმედუნარიანობით ამართლებენ, რაც ნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფალი ბაზარი ეფექტიან შედეგს ვერ გვაძლევს.

განხილული იქნება გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან საბაზრო მექანიზმს უზრუნველყოს პარეტოს მიხედვით ოპტიმალური საზოგადოების საწარმოო შესაძლებლობების გამოყენება, ე.ი. ბაზრის ჩავარდნა. **ბაზრის ჩავარდნა(ფიასკო)**(market failures) – საბაზრო მექანიზმის უუნარობა განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოს პარეტოს მიხედვით ეფექტურობა.

აქტუალურობა. ბაზრის ჩავარდნა იწვევს ეკონომიკის სფეროზე სახელმწიფოს ზემოქმედების აუცილებლობას და ამ ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: როგორც საერთოდ საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობაზე, ასევე ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო სტრატეგიაზე. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში - ეს ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე სადაო და დელიკატური პრობლემაა(იმის გამო, რომ იგი ეხება პოლიტიკას - ამა თუ იმ კლასის ინსტინქტები და საზოგადოების სფეროები ყველაზე ღია ფორმით). ამას გარდა, იგი ამა თუ იმ სახელმწიფოს მართვის პოლიტიკის ეფექტიანობის ლაკმუსის ქაღალდია (კონკრეტული პოლიტიკური ფიგურების ადექვატურობის კრიტერიუმი). იაპონიის, სამხრეთ კორეის და ჩინეთის ფენომენალური ეკონომიკური წარმატებები პირველ რიგში სახელმწიფოს მიერ ოპტიმალური ეკონომიკური სტრატეგიის არჩევით უნდა იქნეს ახსნილი. საბჭოთა კავშირის დაშლა სრულიად სხვა ტიპის სასწავლო მაგალითია.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია განსაზღვროს თუ რა დოზით უნდა მონაწილეობდეს მთავრობა ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

კვლევის მეთოდოლოგია. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევისას გამოიყენება ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტები. ასეთ ანალიზის ერთ სახეს, რომელიც სვამს საკითხს თუ როგორ უნდა იმოქმედოს მთავრობამ ვთქვათ, სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ნორმატიული მიდგომა ეწოდება. მეორე ინსტრუმენტს, რომელიც ადგენს თუ რატომ აკეთებს მთავრობა იმას, რასაც აკეთებს, ანუ აღწერს მთავრობის ქმედებას, პოზიტიური მიდგომა ეწოდება. ჩვენ გავაანალიზებთ მთავრობის როგორც ნორმატიულ, ისე პოზიტიურ ქცევას.

ლიტერატურის მიმოხილვა. მაკროეკონომიკის თეორიაში განიხილება ეკონომიკური სკოლები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ხარისხს სხვადასხვანაირად ასაბუთებენ. განვიხილავთ მხოლოდ ბაზრის ჩავარდნის მიზეზებს და სახელმწიფო ჩარევის თავისებურებებს მიკროეკონომიკის თვალსაზრისით. ძირითადი მიზეზები შემდეგზე დაიყვანება:

1. მონოპოლიური ძალაუფლება. წარმოებაში და მოხმარებაში პარეტო-ეფექტური წონასწორობა მხოლოდ სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე წარმოიშვება. თუმცა რეალური ბაზრები ძალიან შორსაა ასეთი მდგომარეობიდან. ამასთან დაკავშირებით უნდა

განვიხილოთ მონოპოლიის პრობლემა და სახელმწიფოს მიერ ადექვატური რეაქციის არჩევა.

2. გარე ეფექტები. მეორე პრობლემაა ე.წ. გარე ეფექტები. აქამდე ჩვენ საბაზრო მოვლენებს მხოლოდ გამყიდველებისა და მყიდველების თვალსაზრისით ვიხილავდით. თუმცა, როგორც წესი, კონტრაგენტების საბაზრო საქმიანობა ამით არ შემოიფარგლება. ავიღოთ მაგალითად გარემომცველი ბუნების პრობლემა. **გარე ეფექტი ანუ ექსტერნალი**(externalities) - ერთი ეკონომიკური კონტრაგენტის პირდაპირი ზემოქმედებაა მეორის საქმიანობის შედეგზე, ან მესამე პირზე, რომელიც მოცემული სიკეთის ბაზარზე უშუალოდ არაა ჩართული, ე.ი. არაა მყიდველი ან გამყიდველი.

საგარეო ეფექტები შეიძლება წარმოიშვას როგორც სიკეთის წარმოებისას, ისე მოხმარებისას. ამ დროს იგი შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი(costs-დანახარჯები), ასევე დადებითი(benefits-სარგებელი). უარყოფითი გარე ეფექტის მაგალითია გარემოს დაბინძურება საწარმოს საქმიანობის და ტურიზმის გამო, დადებითი გარე ეფექტია სამრეწველო და საცხოვრებელი შენობების დიზაინის შერჩევა.

3. საზოგადოებრივი სიკეთე. ეკონომიკური სიკეთის უმრავლესობა კერძოა. იგი კერძო პირების მიერ შეიძინება და კერძო საზოგადოების მიერ მოიხმარება. თუმცა არსებობს მრავალრიცხოვანი და ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სიკეთე, რომელიც მხოლოდ კერძო ინტერესებით არ შემოიფარგლება (სახელმწიფოს დაცვა, კომუნიკაციები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მრავალი სხვა).

4. ინფორმაციის ასიმეტრიულობა. პარეტო-ეფექტურობის მიღწევა გულისხმობს მყიდველების და გამყიდველების აბსოლუტურ ინფორმირებულობას შეძენილი სიკეთის თვისებების შესახებ. მაგრამ პრაქტიკაში მსგავსი ინფორმირებულობა მიუღწევადია. აქამდე ჩვენ გამოვდიოდით იმ წინაპირობიდან, რომ ბაზრის მონაწილენი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სრულიად ინფორმირებულნი არიან სიკეთის და წარმოების ფაქტორების ხარისხის თაობაზე. თუმცა სინამდვილეში ეს ასე არაა. საქონლის ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღება ძვირი ღირს, ამიტომ უფრო ხშირად გამყიდველებმა ბევრად მეტი იციან სიკეთის მახასიათებლების შესახებ, ვიდრე - მყიდველებმა.

ეკონომისტთა მეორე შედარებით მცირე ნაწილი ამტკიცებს, რომ ეკონომიკაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს, რადგან სახელმწიფო ინტერვენცია სულ მცირე ამცირებს ეკონომიკურ კეთილდღეობას. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის პოლიტიკას შეუძლია თეორიულად გამოასწოროს საბაზრო ჩავარდნა, პრაქტიკულად ის ხშირად ვერ აღწევს დასახულ მიზნებს. როდესაც მთავრობა ცდილობს დაიკავოს კერძო ფირმების ადგილი, მიღებული საწარმოები არაეფექტიანად მუშობს, რადგან სტიმულების ნაკლებობას განიცდის.ზოგადად ნებისმიერი სამთავრობო ინტერვენციის წარმატება უმეტესად დამოკიდებულია ჩინოვნიკების უნარსა და პატიოსნებაზე. როცა ეს თვისებები არ არსებობს, მთავრობის ჩავარდნის შედეგები ბევრად უარესია საბაზრო ჩავარდნასთან შედარებით.

შედეგები/დისკუსია. არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთი საქონლის მიწოდება შესაძლებელი იქნებოდა კერძო სექტორის მიერ თუ მთავრობა თავის თავზე არ აიღებდა მის მიწოდებას. მრავალ ქვეყანაში აქვს ადგილი წარსულში მთავრობის მიერ შესრულებული ფუნქციების პრივატიზაციას, ანუ კერძო სექტორისთვის მის გადაცემას: გზებისა და სატელეფონო ქსელების მშენებლობა, საპყრობილეების ექსპლოატაცია. პარალელურ პროცესს წარმოადგენს დერეგულაცია (მათი განთავისუფლება სამთავრობო ზედამხედველობისაგან). ინტერვენციის დანახარჯი და სარგებელი შეიძლება გაიზომოს იმავე პირობებით, როგორც მონოპოლიის არაეფექტიანობის და სამთავრობო რეგულაციის არაეფექტიანობის მიმართება.

განვიხილოთ პრაქტიკულად თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მთავრობამ ეკონომიკურ ზრდაზე. ყურადღებას გავამახვილებთ მთავრობის საქმიანობის **ოთხ** კონკრეტულ ასპექტზე:

კანონის უზენაესობა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საქონელი, რომლის მიწოდებასაც მთავრობა უზრუნველყოფს. ფირმები ერთმანეთთან დებენ კონტრაქტებს საქონლის მიწოდებაზე, სესხის გადახდაზე, გამომგონებლები ეყრდნობიან საპატენტო კანონს, კერძო მესაკუთრეები დამოკიდებულნი არიან სასამართლოსა და პოლიციაზე, რომლებიც მათ საკუთრებას იცავენ, კარგად ფუნქციონირებად ფინანსურ სისტემას, რომელიც კანონიერებას ეყრდნობა, თავისი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ეფექტიანობაში კაპიტალის ოპტიმალური განაწილების მეშვეობით. ბევრ ქვეყანაში სასამართლო სისტემა სუსტია და საქმეების უმრავლესობა წყდება იმისდა მიხედვით, თუ ვის აქვს უკეთესი პოლიტიკური კავშირები.

მთავრობის ზომა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც მთავრობა გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგომარეობაზე, მისი აბსოლუტური ზომაა. არაოპტიმალური მთავრობა, რომელიც ბევრ ფულს ხარჯავს - მოითხოვს დიდ სახელმწიფო შემოსავალს. ზოგიერთი არაბული ქვეყნის გარდა, რომლებიც ძირითად შემოსავალს ღებულობენ ბუნებრივი რესურსების(ნავთობის) გაყიდვით, მთავრობა შემოსავალ იღებს ინდივიდების და ბიზნესის დაბეგვრით. გადასახადები თავის მხრივ გავლენას ახდენს ეკონომიკური აქტივობის ეფექტიანობაზე.

გერმანელმა სოციოლოგმა ადოლფ ვაგნერმა ჯერ კიდებვ მე-19 საუკუნეში ჩამოაყალიბა თეორია, რომ სახელმწიფო სექტორის ზომა იზრდება, როცა ქვეყანა მდიდრდება, რადგან უფრო განვითარებული ეკონომიკა საჭიროებს უფრო კომპლექსურ რეგულაციებს. მრავალი საზოგადოებრივი საქონელი, რომლის მიწოდება მთავრობის მიერ ხდება, მიეკუთვნება ისეთ ტიპს, რომლის შემთხვევაშიც დანახარჯი იმაზე სწრაფად იზრდება, ვიდრე შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ ღარიბ ქვეყნებს უფრო მცირე ზომის მთავრობები ჰყავთ მდიდარ ქვეყნებთან შედარებით, ისინი მაინც მნიშვნელოვნად უფრო დიდია, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების იგივე დონეზე მყოფი მთავრობები. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სამთავრობო დასაქმება მთლიანი დასაქმების 25%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ერთ სულზე ისეთივე შემოსავლის პერიოდში აშშ-ის იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 6.5% იყო.

დაგეგმვა. ეკონომიკის დაგეგმვა მაშინ ხდება, როცა მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს ეკონომიკაში არსებულ ზოგიერთ ან ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებადი ქვეყნები თავიანთი ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად მიმართავდენ დაგეგმვის პოლიტიკის რამდენიმე ინსტრუმენტს: სახელმწიფო საწარმოები, მთავრობის საკუთრებაში არსებული ბანკები, სავაჭრო პალატები, სავაჭრო შეზღუდვები(ტარიფების და ქვოტების დაწესება იმპორტზე). ამ პოლიტიკამ თითქმის ყველა შემთხვევაში მარცხი განიცადა. მაგალითად სახელმწიფო საწარმოთა მმართველები არ განიცდიდნენ კონკურენციას სხვა ფირმების მხრიდან და არც რაიმე სახის ზეწოლას აქციონერებისაგან მოგების მიღების მიზნით, ნაკლები სტიმული ჰქონდათ წარმოების ეფექტიანობისათვის ემუშავათ.

სამოქალაქო კონფლიქტი. ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობის ეკონომიკური ეფექტი წარმოიქმნება არა კონკრეტული პოლიტიკიდან, არამედ დაპირისპირებიდან, თუ ვინ იქნება მმართველი ან მთავრობის არარსებობიდან. 2011 წელს ერთნახევარი მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა არეალში, რომელიც დაზიანებული იყო სახელმწიფოს არამდგრადობით, კონფლიქტებით და ძალადობით. სამოქალაქო ომს თან სდევს მარადიორობა დევნილთა ნაკადები, კაპიტალის განადგურება, ვაჭრობის შეზღუდვა და მთავრობის როლის შესუსტება საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების თვალსაზრისით.

სიღარიბის გარდა ძალადობრივი კონფლიქტის გამომწვევია ასევე ფასეული ბუნებრივი რესურსის არსებობა, საიდანაც მისაღები რენტა მთავრობის გაკონტროლებას განსაკუთრებით სარფიანს ხდის.

ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი სამთავრობო ქმედებების გამომწვევი მიზეზები: ერთი მიზეზი იმისა, რომ მთავრობა იმას აკეთებს, რაც საზიანოა ეკონომიკური ზრდისთვის არის არაპროპორციული თანხების ხარჯვა ეროვნულ თავდაცვაზე, კულტურაზე და სხვა. ასევე დიდი თანხების ხარჯვა ჰაერისა და წყლის დაბინძურების წინააღმდეგ. **მეორე მიზეზია,** მთავრობა მოქმედებს კერძო და არა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. როდესაც კორუფცია აღწევს მთავრობის უმაღლეს ეშელონებამდე, ის იწოდება **კლეპტოკრატიად**, რაც ნიშნავს „ქურდების მმართველობას". რაც უფრო ძლიერია ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ მოქალაქეები კმაყოფილი იქნებიან კლეპტოკრატიული მმართველობით და ამგვარად მით უფრო მოსალოდნელია, რომ ასეთი მმართველი დარჩება ხელისუფლებაში. კორუფცია ყველაზე მნიშვნელოვანი წინაღობაა განვითარების გზაზე. მთავრობის შემოსავლების ფლანგვა მხოლოდ დასაწყისია არაეფექტიანობის, რომელიც კორუფციით არის გამოწვეული. კორუფციის მეორე ეფექტი არის, რომ მთავრობა ახორციელებს პოლიტიკას მექრთამეობის გასაფართოებლად; **მესამე მიზეზია,** თვითგადარჩენის ინსტინქტი. მიზეზი იმისა, რომ მთავრობა იმას აკეთებს, რაც საზიანოა ზრდისთვის, ხშირად ხელისუფლებაში საკუთარი თავის შენარჩუნების საუკეთესო გზაა. სოციალურ სტრუქტურაში ცვლილებები ზოგჯერ საფრთხის ქვეშ აყენებს ჩინოვნიკების ხელისუფლებაში ყოფნას. ახალ ტექნოლოგიებს შეუძლიათ ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილება სხვა პირებზე, რომლებიც ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილნი არ არიან. ეკონომიკის არასაკმარისმა ზრდამ ასევე შეიძლება საფრთხე შეუქმნას მთავრობას, როცა წარმატებული მეზობელი ქვეყნების მხრიდან შეიძლება შეექმნას საშიშროება.

დასკვნები და წინადადებები. ამრიგად ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლითაც მთავრობა სარგებლობს ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ეს ინსტრუმენტები მოიცავს კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას, ფირმების ქცევის რეგულირებას, დაგეგმვას, სავაჭრო პოლიტიკას, წარმოების საშუალებების უშუალო ფლობას. ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირი მტკიცებულება გაგვაჩნია პოლიტიკის გასარკვევად. მაგალითად კანონის უზენაესობა ცალსახად კარგია ეკონომიკური ზრდისთვის, ხოლო ეკონომიკის სრული სახელმწიფო მართვა - ცუდი. მაგრამ სამთავრობო დაგეგმვა და ახლადშექმნილი საწარმოების დაცვა ტარიფებით ხშირად წარუმატებელია, მაგრამ არა ყოველთვის. ანალოგიურად არ არსებობს კონსენსუსი მთავრობის ოპტიმალური ზომისა და შემოსავლების გადანაწილების ოპტიმალურ ხარისხთან დაკავშირებით. ზოგჯერ მთავრობა ატარებს პოლიტიკას, რომელიც ხელს არ უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ამით მთავრობა ცდილობს მიაღწიოს ზოგიერთ ისეთ კანონიერ მიზანს, რომელიც ეწინააღმდეგება ზრდას, როგორიცაა შემოსავლების გადანაწილება ან გარემოს დაბინძურების შემცირება. სახელმწიფო თანამდებობის ბოროტად გამოყენება პირადი ინტერესებისათვის და ყველა ხერხით ხელისუფლებაში დარჩენის სურვილი ამცირებს ზრდას. ღარიბი ქვეყნის მთავრობა ცუდად იცავს კანონის უზენაესობას, აწესებს მეტ გადასახადს და ხარჯავს მეტს, მეტი ალბათობით უფრო კორუმპირებულია, ვიდრე მდიდარი ქვეყნის მთავრობა, როდესაც იგი განვითარების იმავე საფეხურზე იმყოფებოდა.

საქართველოს გეოსტრატეგიული თუ საშინაო პოლიტიკის განმსაზღვრელი იმპერატივი ორ უმთავრეს მიზანს უნდა ემყარებოდეს: მეტი უსაფრთხოება და მეტი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა. თანამედროვე პირობებში თავისით არაფერი არ მოხდება და მით უმეტეს მხოლოდ ისტორიულ-ეროვნული კოდის ხარჯზე. მხოლოდ მიზანმიმართული, ზეპარტიული, არაკონიუნქტურული და სისტემური სახელმწიფო პოლიტიკა - საყოველთაო-საერო პოლიტიკა შეიძლება იქცეს სასურველი

შედეგის მიღწევის საფუძვლად, თუ საზოგადოების წევრების უმრავლესობას საკუთარი სახელმწიფოსადმი თანამესაკუთრისა და თანამონაწილის საერთო დამოკიდებულება გაუჩნდება.

ეკონომიკური ქმედუნარიანობა განსაკუთრებით აქტუალურია მცირე სახელმწიფოსათვის, ხოლო ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა მისი ეკონომიკის რეგიონალურ ეკონომიკურ სისტემასთან ინტეგრირებაა. სწორედ რომ რეგიონალური ინტეგრაცია გვესახება როგორც მაკროეკონომიკური რისკების შთანთქმის, ისე გლობალურ ბაზრებზე რეგიონის ქვეყნების კოლექტიური ეკონომიკური ინტერესების ადვოკატირების ერთ-ერთ მექანიზმად. ამავდროულად, როგორც ნებისმიერი ინტეგრაციის შემთხვევაში, აქაც რეკომენდებულია, რომ ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთდაკავშირება ზომიერი იყოს და ითვალისწინებდეს მცირე ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებს.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

Julakidze, M. (2021) Economic Growth of Georgia and Social Problems. Globalization and Busines. 12,152-154. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #12, 2021წელი,ISSN 2449-2396 (ბეჭდური),E ISSN 2449-2612 (ონლაინ);**https://doi.org/10.35945/gb.2021.12.020** გვერდები 140-143.

ჯულაყიძე, მ. (2009). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკრომოდელის რეალიზაციის შესაძლებლობები. თეუსუ ჟურნალი „კომერსანტი“ №3(8), გვ.16-22;

ჯულაყიძე, მ.(2008). საქართველოს მშპ-სა და ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების (დაზოგვა, მოხმარება, ინვესტიციები) ანალიზი და პროგნოზი გრძელვადიან პერიოდში. თეუსუ სამეცნიერო შრომების კრებული., გვ.171-190;

Weil N.. David (2008) Economic Growth. Brown University. Second Edition.

REFERENCES

Julakidze, M. (2021) Economic Growth of Georgia and Social Problems. Globalization and Busines. 12,152-154. #12, 2021 tseli, ISSN 2449-2396 (bechduri),E ISSN 2449-2612 (onlain); **https://doi.org/10.35945/gb.2021.12.020** gv. 140-143.

julakidze, M. (2009). Sakartvelos socialur-ekonomikuri ganvitarebis makromodelis realizaciis shesadzleblobebi. TEUSU zhurnali “komersanti” №3(8), gv.16-22.

Julakidze, M. (2008). Sakartvelos mshp-sa da dziritadi makroekonomikuri agregatebis (dazogva, moxmareba, investiciebi) analizi da prognozi grdzelvadian periodshi. TEUSU samecniero shromebis krebuli., gv. 171-190.

Weil N., David (2008) Economic Growth. Brown University. Second Edition.